პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— მარტი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ე.წ. ,,მუხიანი-2“ -ის დასახლებაში, ზნაკვის ქუჩის გავრცელების არეალის დაზუსტების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი” 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ე.წ. ,,მუხიანი-2“ -ის დასახლებაში, დაზუსტდეს ზნაკვის ქუჩის გავრცელების არეალი, ზნაკვის ქუჩის დასასრულად განისაზღვროს X486974 Y4625233 გრძედისა და განედის გადაკვეთის წერტილი.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

18 / დეკემბერი / 2025 წ.

KA011760983946925

№ **288591**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოგახსენებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს“) წარედგინა დავით ნათელაშვილის (პ/ნ 01005004474) № 336108/17 წერილი, რომლის თანახმად მოთხოვნილია ინფორმაცია 72.13.13.513 საკადასტრო კოდის მქონე უძრავი ნივთისთვის ზნაკვის ქუჩიდან მისამართის მინიჭების საფუძვლების შესახებ.

აღნიშნული წარმოების ფარგლებში მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ სამისამართო რეესტრში რეგისტრირებულია გეოგრაფიული ობიექტი სახელწოდებით:

- ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, ზნაკვის ქუჩა

ამასთან, სამისამართო რეესტრში აღრიცხული მონაცემების თანახმად, "ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, ზნაკვის ქუჩის" მოხაზულობა კვეთს უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 72.13.13.348 (იხ. თანდართული სიტუაციური ნახაზი)). სააგენტოში დაცულია ქალაქ თბილისის საკრებულოს 2013 წლის 26 აპრილის N42 დადგენილება, რომლის საფუძველზე ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, „მუხიანი -2“-ის უსახელო ქუჩებს განესაზღვრა სახელწოდებები, მათ შორის პირობითად მე-16 ქუჩას - ზნაკვის ქუჩა. დადგენილებას არ ახლავს ორთოფოტო შესაბამისი გეოგრაფიული ობიექტების მონიშვნით, რაც სააგენტოში რეგისტრირებული მონაცემების სისწორის გადამოწმების საშუალებას მოგვცემდა ზნაკვის ქუჩის გეოგრაფიულ გავრცელებასთან დაკავშირებით.

საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, გთხოვთ, უზრუნველყოთ "ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, ზნაკვის ქუჩის" სამისამართო რეესტრში აღრიცხული გეოგრაფიული მონაცემების სისწორის გადამოწმება და მოხაზულობის თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის მოწოდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

სიტუაციური რუკა
26 მაისის ბაღი
72.13.11.292
72.13.11.293
72.13.11.543
72.13.11.545
72.13.11.625
72.13.13.073
72.13.13.081
72.13.11.416
72.13.11.246
72.13.11.594
72.13.13.347
72.13.11.244
72.13.11.241
72.13.13.348
26 მაისის ქუჩა
72.13.13.096
72.13.13.513
72.13.13.098